



მაცნე

1991
თ ა ვ ა თ ი
20
მ ე ლ ი ს ი
№ 6 (10479)
მ ა ს ი ა კ ა ვ .

საგარეო დედას ქაშაში, არ გაიცვალა სხვაგვარად...

საგარეო დედას ქაშაში, არ გაიცვალა სხვაგვარად...

მხოლოდ ახლებური მიდგომით

და ენერჯით

მეტად რთული, მრავალსახა პრეტენზიები მიმდინარეობს ჩვენს ცხოვრებაში. აღმართა ძალისხმევა ხმარდება დრომოკმეული პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების დემონტაჟს და მართვის ახალი, დემოკრატიული და მობილური ფორმების თანდათან დამკვიდრებას. თავისთავად აღნიშნულ პრეტენსიას სდევს გარკვეული ინტერესი, ხალხისა და ტონის, ძიების ენის, რამეთუ ინიციატივები პიროვნებები ცდილობენ დროზე მოაშორონ ჩვენს ყოფას ავტორიტარიზმით ნასაზრდოები ბორკილები. სხვა გამოსავალი არცა გვაქვს. მრავალგზის ნაწამებ-ნაგვემმა საზოგადოებამ გაბედულად უნდა დაამკვიდროს ახალი ურთიერთობანი, უნებრივი ნორმები, სულიერი ღირებულებები. წინ გვიდევს საზოგადოების ევოლუციური განვითარების დიდი გზა, რომელზედაც უნდა მოხდეს ტრადიციული, მამა-ბაბური ცხოვრების წესის აღორძინება და მისი გაქრება საზოგადოებრივი ცივილიზაციის ორიენტაციებით.

ფერცვლების პროცესის სასურველი დინამიზმი მიანიჭოს. სწორედ ეს ბალებს უწყნარიგობის, ქაოსის, დაბნეულობის ნიშნებს. სამწუხაროდ, კვყყანას არც პანიკაორი, მედროფი და დემაგოგი გამოლევი. სწორედ მათი ხელშეწყობით ძნელდება საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის მოქალაქეობრივი თანხმობის შექმნა. ქართული სოფელი თავისუფალია შრომამ, საკუთარი ნაშრომითაა დაკმაყოფილები, მწწის ნამდვილია ბატონ-პატრონის გლეხიცაა უნდა აღორძინოს. უკანასკნელ დღეებს ითვლის კოლმეურნეობები. იგი უნდა შესცვალოს სასოფლო კოლმეურნეობის ფორმამ. სურათის ნუ დაფრთხობს ეს ტერმინი. ეს ფართო ცნებაა, რომელიც თავის არეალში იტევს ნარსახოგან საწარმოო სტრუქტურებს. ურთიერთობათა ფართო დიაპაზონს, მიწაზე როგორც კერძო, ისე სხვა სახის საკუთრების დაწესებას. სულ მალე გამოვა ახალი ნორმატიული აქტები სასოფლო წარმოების შესახებ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. მანამდე კი საჭიროა ადგილებზე სწორად განუქმარტოთ ეს მომენტები ჩვენს მშრომლებს.

მოვიდნენ ხალხის მიერ არჩეული ადამიანები, ეროვნულ მოძრაობაში საკუთარი წვლილის შემტანი და ერის სამომავლო ინტერესების ბოლომდე გამცნობიერებელი მამულიშვილები. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასეთნაირებად გვინდა ვიწამოთ ისინი. და თუკი ზოგი იმთავანი ნდობას არ გააშართლებს ჩვენი მკაცრი რეალობა თავისას მიუზღვის. ამ ეტაპზე კი სოფლის გამგებლების წინაშე ურთულესი ამოცანებია. ჩვენი სურვილია ყოველი მათგანი გაათავებულნი ენერჯით, პასუხისმგებლობის მაღალ დონით შეეჭიდოს იმ პრობლემათა მოგვარებას, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე იჩენს თავს. ბევრგან დღემდე ზარალიანია რიგი დარგები, დაბალია შრომის ორგანიზაცია, სერიოზული დარღვევებია სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში, გვხვდებით სახალხო ქონების დატაცების ფაქტებს, მიწათსარგებლობის წესების უბეზ დარღვევებს, სათანადო ყურადღება არ ექცევა მრავალწლიანი კულტურების მოვლის საქმეს. უწყნარიგობა სულფეს საავტოო საყოფაცხოვრებო, საფოსტო მომსახურებაში. ერთი სიტყვით მისახედ და თავმოსაბმელ საქმეებს რა გამოლევს.

გაერთიანება „საქალაქმშენებელი“ ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა ქალაქში. ამიტომ, გადაწყვიტეთ, ამ გაერთიანებაზე შემტერებინა არჩევანი. მინდოდა, რომელიმე გამოცდილი მუშის ცხოვრებაში ჩამხედდა და რამდენიმე წუთით მის მიერ გამოვლილი გზის წარმატებებისა თუ სიძნელეების მოწმე გყოფილიყ-

ურკანელები, ოსებიც, მაგრამ არავითარი ექსცესი ჩვენს შორის არ მოხდებოდა. — მოგვიხარიათ თქვენს მიერ გავლილ შრომით გზაზე, მის სიძნელეებზე, წარმატებაზე, რომელიმე მოიარავეთ ამ გზაზე. — კეთილი ათამიანების დახმარებით მალე შედგინდეთ ავით-

საგარეო დედას ქაშაში, არ გაიცვალა სხვაგვარად...

სივარტლისა და კატიოსნების გზით

ევი. ქალაქის სამქროს მივასურე. თითქმის ყველამ მირჩია მესაუბრა ამ სამქროს ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ და სტაჟიან მუშასთან — ბატონ ტიტკო ჰაქუასთან. ბატონ ტიტკო ამჯერად სამოც წელს გადაცილებულია, მაგრამ საქმად მხნედ გამოიყურება. მართალია, უკვე უწია საუბრისი ასაკმა, მაგრამ ეძნელდება კოლმეურნეთან განშორება და კვლავაც ერთგულად ემსახურება საერთო საქმეს. იგი ოთხი შვილის მამა გახლავთ. მისი უფროსი ვაჟი მამის კვალს გაჰყვა და ამჟვე გაერთიანებაში მუშაობს. მე შევხვდი ბატონ ტიტკოს და რამდენიმე კითხვით მივმართე მას: — ბატონო ტიტკო, თქვენ ყველა გზასინათვამ, როგორც ერთ-ერთ კეთილწინდისიერ, გამომცდილ მუშას, რომელსაც უშვარს თანხისი საქმე. მთხროვთ განსაერთ, როდის მოხვედრით თქვენ ამ საწარმოში და ვინ მიგაღიანათ ასე ვთქვათ, შრომითი ნათლობა. ეს იყო 1958 წლის 9 იანვარს. მოვიხადე თუ არა სამხედრო სავალდებულო სამსახური, 25 წლის ჰაბუკმა ქალაქის სამქროს მივასურე. მას შემდეგ, აგრ უკვე 36 წელია, ამ სამქროში ვმუშაობ. მრავალ აღმართან მკაცრად ვიხარებ თბილის მოგონება, მაგრამ განსაკუთრებით გამოვყოფდი ქალაქის სამქროს იმუშაინდელ უფროსს — ბატონ ალექსანდრე ესებუასა და გამოცდილ მექანიკოსს — ბატონ კალისტრატე დარასელიას, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს დაოსტატებაში.

ვისე ჩემი პროფესიის ყოველი წვრილმანი. 1978 წელს, როგორც ერთ-ერთი გამოცდილი მუშა, მიმავლინეს ქალაქ კრანოკამსკში, სადაც ვხელმძღვანელობდი ბრიგადას. რა თქმა უნდა, მრავალი სიძნელე გამოვიარე. ყოფილა უძილო ღამეები, ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა შეგებულბაში გასული ბორტმექანიკოსიც შემიცვლია, რაც ასე თუ ისე, ქალაქის დაშინების ტექნოლოგიის ღრმა ცოდნას მოითხოვდა. — სპარტოველოზი დღეს არსებულ სიტუაციაში რას გვეძახოვით? — მართალია, პრობლემებით სავსეა ყველა სფერო ჩვენი ცხოვრებისა, მაგრამ მჯერა, ყველაფერს მოვლდება, ოღონდ ერთ-მანეთი უნდა გვიყვარდეს. ვიაროთ სიმართლისა და პატიოსნების გზით და დემოტი შეგვეწევა. — და გოლოს, ბატონო ტიტკო, ორიოდე სიტყვა აღამინაზე, რომელიმე თქვენს გვარდით შრომობან და მხარში გიღვანან.

დღევანდელი ამ სირთულეების ტვირთს მთელი სიმძიმით იღებს თავის თავზე ჩვენი სოფელი. ბქ სრული სიმკვეთრით იჩენს თავს მწვავე სოციალური კატაკლიზმები, ინტერესთა, პოზიციათა დაპირისპირება. ძველი, დრომოკმეული იოლად როდი იხეცს უკან. ახლის, პროგრესულის მხარდაჭერთა რიგები ჯერ კიდევ ვერ არის ისე შექმნილი, რომ

იმედის მომცემა ის გარემოება, რომ სოფლის ხელმძღვანელობის პულტი ახალი პირთგნებების ხელში გადადის. ვინ როგორ წარუძღვება მინდობილ საქმეს, ეს სხვა საკითხია. მაგრამ ერთი რამ ცხადია: მართვის სათავეში

ახლა მთავარია, ავამალლოთ საკრებულოების როლი ამ საკითხების მოგვარების საქმეში. ჩვენს სოფელს მხოლოდ ახლებური მიდგომით და ახლებური ენერჯით ავალორძინებთ.

— როგორ უმჯავდამთ კოლმეტივი და როგორ უმავაუთ მას? — ძალიან თბილად მიმიღეს. ყველა ცდილობდა, მართო არ მეგრძნო თავი. ჩვენი კოლმეტივი ინტერნაციონალური იყო. ერთ-მანეთს ვერდიავდრდ შრომობდნენ ქართველები, რუსები,

— ახლა მე ქალაქსაკუთრებელი მანქანის შემკეთებელი ბრიგადის წევრი ვარ. დიდი სითბოთი მინდა მოვიხსენიო ჩემი ბრიგადის ბრიგადირი — ბატონი მარდონ კაცია; ჩვენი ბრიგადის წევრები — შაქრო ოყუქავა, კანტიკო კოჭუა, გამოცდილი ელექტრომონტიორი დაზმირ ბერულავა და მრავალი სხვა, რომლებთანაც თბილი მოგონებები მაკვშირებს. — გამალოვთ საუბარისათვის. ბისურვავთ ჯანმრთელოვასა და იმ სიხვნევის შენარჩუნებას, რაგაც საშუალება მოგვცათ, ასე ხანგრძლივად გიმსახურებთ თქვენს მიერ არჩეული პარაშენისათვის. ესაუბრა: **ლანა გიჭულავა.** თსუ ექრნალისტიკის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი.

იწვევა

შვილიან, ახარებენ

მოვლა-გახარება არ აკლია ერთწლიან კულტურებს ინგირის კოლმეურნეობაში, რომელსაც 180 ჰექტარი უჭირავს. მიმდინარეობს მათი მეორე გათხნა. სიმინდი სამარცვლედ დათესილია 48 ჰექტარზე, სახილოსედ — 40, სოიო 25, ბოსტნეული

კულტურები 1,5 ჰექტარზე, მწვანე მახად 15 ჰექტარზე, მრავალწლიანი ბალახები 9 ჰექტარზე. სენაჟი 120 ტონის ნაცვლად ჩადებულია 200 ტონა აღნიშნულ ფართობებზე გრძელდება აგროლონის ძიებებით გათვალისწინებული სამუშაოები.

საგონი-სიასლით

ხული თანხიდან „საქსოფლამშენების“ რაიონულ გაერთიანებას შეუძლია ჩამბარებულს კილოგრამ ნაყოფზე გასცეს 60 კაპიკომდე. სიახლე ალბათ დაინტერესებს ჩამბარებულს და ნელნელა არ მოაკლდება ქარხანას. ვფიქრობთ, ამ გადაწყვეტილებას კმაყოფილებით შეხვდება მისახლეობა, საზოგადოებრივი

ორგანიზაციები. გაღიარებული ქარხანა გამოუშვებს ხარისხიან პროდუქციას, რამეთუ დღეს ღირსების საქმეა შორის გაიტანო წარმოების სახელი. — ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია ხარისხის ნიშნით, — ასეთია კოლმეტივის გადაწყვეტილება.

„გორგი სააკაძის პიროვნება“, —სეთი სათაურით გამოცემულია „გორგის“ დაბეჭდილი ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის, ზატონ ჭანსუღ ღვინჯილიას საკმაოდ სქელტანიანი ნაშრომი, რომელიც მიმდინარე წელს გადაეცა წიგნის მაღაზიებს განსაკუთრებით.

სარეცენზიო წიგნის ავტორს გულდასმით შეუხვედრია გორგი სააკაძის შესახებ არსებული უცხოური და ქართული წერილობითი წყაროები, აგრეთვე განსწავლავს უახლესი პერიოდის მკვლევართა და მწერალთა ნაშრომებს, მათ ზრებს.

დამაჯერებელი საბუთიანობით, მხალისის კრატეული გაზრებით და მახვილგანვიწყობილი ლოკალური იგი ფრად სანტირებს და საყურადღებო დასკვნებს აყენებს სააკაძის ფენოქსისა და მისი დროის საქართველოს საზოგადოებასა და საჯარო ცხოვრების საქონებზე.

ცნობილია, რომ გორგი სააკაძის იდეალი იყო მეფის ხელისუფლების გაძლიერება, დიდგვაროვან ფეოდალთა წინააღმდეგობის დაძლევა საქართველოს სამეფო-სამთავროების გაერთიანება, ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამ პროგრესულ პოლიტიკურ იდეას მოუძღვრა დიდი მოურავმა (ქართული ლიტერატურის და ცხინვალ-ღვინჯილის შემდგომ მთლიანად ქართლის ფაქტობრივი განმგებელი) მთელი თავისი ცხოვრება და მხედრობითი მთავარი ნიჭიერება.

ამ მატრიალური იდეისადმი ბრძოლაში გორგი სააკაძის გადაუღებელი ხიბნიერები შეხვდნენ. მათხდავად იმისა, რომ იგი გარკვეულ სოციალურ ძალებსაც ეყრდნობოდა. ამ დიდ საქმეში ზოგიერთები მის შედეგობებსაც ეძებენ, ხოლო სხელოვანი მხედრობითადაც მისი იმდროინდელი მტრებისაგან მომდინარე უსაფუძვლო და ცილისმწაქებლური ბრალდებები კი გადაჭრით უნდა უკუვაგდოს.

გორგი სააკაძე ტაშისკარის, მარტყოფის მარაბდა-ქსანის ხაზირი გამარჯვების გმირია, რომელმაც იხსნა მამის საქართველო განადგურებისაგან, თურქი და ირანელი ოკუპანტებისაგან.

როგორც ცნობილია, 1899 წელს ტაშისკარის მიდამოებში თურქი დამპყრობლების (ყირიმელი თათართა მონაწილეობით) დამარცხების შემდეგ ძალიან ამოღდა გორგი სააკაძის ავტორიტეტი. მას სიძულად გაუღდა ლუარსაბ მეფეც. ყოველივე ეს დიდგვარიან თავადებს მოსვენებას უკარგავდა, მათ დაბეჭდეს ახსურული წარმომავლის სააკაძე მეფესთან და ლუარსაბი სააკაძის მოკვლავ დაიბნენ (ცოლიც განუშორეს), ვითომდა ლალატის განზრახვისათვის.

გერაკული ჩანაფიქრის შესახებ რუბელად სააკაძე წავისში მეფესთან „ხანადროდ“ მიიწვიეს მაგრამ სააკაძე გადაურჩა დაღუბვას, შეიტყო რა საფრთხე წინასწარ.

სხვა გზა არ იყო, იგი გაიქცა სამშობლოს და ირანს შეაფარა თავი. 1812 წელს სააკაძე ირანის შაჰს გამოეცხადა. შაჰ-ახანმა სააკაძე მიიღო, ვინაიდან შაჰის გეგმაში შედიოდა ქართლ-კახეთის დაუფლება, ხოლო სხელოვანი მხედრობითადაც გორგის საქართველოში არყოფნა აწყობ-

და მას, თან თურქეთის წინააღმდეგაც გამოადგებოდა, რომელთანაც გაუთავებელ საომარ მდგომარეობაში იყო. შაჰმა 1814 წლიდან უფრო დაუჩქარა თავისი განზრახვის შესრულებას (ირანის აგრესია საქართველოს დასამორ-

მებით სარეცენზიო ნაშრომის ავტორის მოსაზრებას და ჩვენის მხრით დავეძინო, რომ გორგი სააკაძე ამ შემთხვევაში, როგორც მხედრობითადაც არ დამარცხებულა. ბაზალეთის ომი, სააკაძის მხა-

მეომარი და უძლიერე მებრძოლი. თურქი მემატიანის თქმით გორგი იყო ჰემარტიად გულადი, იშვიათი ვაჟაკი, რომელსაც დევის ლონე ჰქონდაო. იყო ამგვარი ისტორიული ფაქტიც:

სულთანის დაუთხოვად (მოგონილი მიწვევით სულთანს ვერ დააჭერდა) გააკეთა ეს და მკვლავად შეურაცხის ნიდაგზე გასწირა სააკაძე.

ჭანსუღ ღვინჯილია არ ეთანხმება წარსულის და არც თანამედროვეთა ისეთ მოსაზრებებს, რომელიც სააკაძის ფენოქსი გამოარჩებს ხედავს, იმათ, ვინც ამ პიროვნების ობიექტურ შეცნობა-დახასიათებაში შეცდომებს უშვებს. იგი ძირითადად და სავსებით მართებულად ისტორიკოსთა (ნ. ბერძენიშვილი, გ. ჯამბურია, და სხვათა) კონცეფციებს იზიარებს.

ჩვენს სახელგანთქმული მეცნიერი, აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერდა: „საკაძის არ მოუხერხდა თავისი პოლიტიკური იდეების განხორციელება. საქართველოს განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლაში იგი დამარცხდა, მაგრამ მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე განუზომელია. გორგი სააკაძემ იხსნა თავისი პირადი ბედნიერების ფასად. საქართველო სასიკვდილო საფრთხისაგან იმით, რომ იგი იყო მთავარი ორგანიზატორი და სულსისწამედილი 1828-1829 წლების გმირული სახალხო ომისა, რომელმაც აიძულა შაჰ-ახანი ხელი აეღო საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის მოსამბის განზრახვაზე, სწორედ ისე, როგორც სამშობლოსადმი თავგანწირული ერთგულებას, აფასებენ ქართველი პატრიოტების მომდევნო თაობანი მოურავის საქმიანობას“ (ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. II, გვ. 247-248, 1978 წ.).

ამით გამოვრებთ ჩვენს რეცენზიას ზატონ ჭანსუღ ღვინჯილიას ნამდვილად სასარგებლო და საყურადღებო ნაშრომის გამო, დაინტერესებული მკითხველი სააკაძის პიროვნებას სრულყოფილად წიგნში გაეცნობა.

მამანტი პაპაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის მეცნიერთანამშრომელი.

საინტერესო ნაშრომი

ჩილებლად შე-16 საუკუნიდან მოხშირდა).

საკაძეს სულ სხვა გეგმა ჰქონდა: გადაერჩინა ქართლ-კახეთი კონსტანტინოპოლისა და საქართველოს სასარგებლოდ გამოეყენებია ირან-თურქეთს შორის არსებული დაძაბულობა, ხაზირი ვითარება.

შაჰ-ახანს არ დანებდა კახეთი, დიდი ზიანიც მიუყენა მის ლაშქარს. ამიტომ შეუდგა კახეთის მოთხრას (1614-1617 წწ.). მცხოვრებთა ორი მესამედის ნახევარი მოსპო, ნახევარი ირანში გასახლდა. მაგრამ მინც ვერ დაიმორჩილა იგი, ქართლ-კახეთი საკვდრო-სიციცხლო ბრძოლას განაგრძობდა ირანის წინააღმდეგ.

სისხლისმსმელმა და ვერაგმა შაჰმა კვლავ უზარმაზარი არმია დაძრვა საქართველოსაკენ. იგი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის მთლიანად ამოვლტისა და აქ, ქართულ მიწა წყალზე, მუსულმანური სახანობის შექმნის მიზანს ისახავდა. გორგი სააკაძე კარგად ხედავდა, რომ შაჰი მას არაფრით დაეხმარებოდა, პირიქით, სემზობლას უნდაგურებდა. ამიტომ სააკაძემ გადაწყვიტა მოესპო შაჰის არმია. მთავარსარდლის ყორჩინა-ხანის მეთაურობით, რომელსაც თვითონაც მოჰყვებოდა. ამისათვის წინასწარ შეადგინა გეგმა (ბრძოლისა და ქართლ-კახეთის აჯანყებისა).

გონივრულად შედგენილი გეგმის საუბრეზე ჯერ მარტყოფში, შემდეგ მარაბდა-ქსანის მიდამოებში და მთელს აღმოსავლეთ საქართველოში 1625 წელს უზილობა ამოწყვეტილ იქნა. ბრძოლის ველზე დაეცა 60-70 ათასი უზილობაში, რაც ირანის მთელი რეგულარული არმიის ნახევარზე მეტი იყო. დამარცხებულ შაჰს შემდგომი შემოტევის ძალა გამოეღია. ამ ბრძოლას ირანში მძევლად მყოფი პატაც შეეწირა, ე. ი. შვილიც გასწირა სააკაძემ სამშობლოსათვის.

მერე რა? კვლავ ამოძრავდნენ საქართველოს ერთიანობის მოწინააღმდეგე თავადები და დაიწყეს სააკაძის ბეწვობა თეიმურაზთან, რომელიც თვითონ გორგის მოიწვია ქართლ-კახეთის მეფედ. მოურავმა იმერეთისაკენაც გაიხედა. მისი მთავარი იდეა ხორცს ისხამდა, მაგრამ ფეოდალებმა შეძლეს თეიმურაზის გადმობრება და სააკაძის სასიკვდილოდ გამოეცხა. მიუხედავად იმისა, რომ სააკაძემ მის მტრებს მიუტევა ძველი ცოდვები, მხარეთა შორის შეტაკება და სამოქალაქო ომი ბაზალეთის ტბასთან სამწუხაროდ, მაინც მოხდა.

ხშირად მოუთითებენ, რომ გორგი სააკაძე, რომელიც არასდროს დამარცხებულა, ბაზალეთის ბრძოლაში დამარცხდაო. ეს განცხადება განმარტებას და დაუუსტებას მოითხოვს. ჩვენ ვეთანხ-

რისთვის არახელსაყრელ ბირობებში დაიწყო, მაგრამ მოძმეთა წინააღმდეგ ისეთი შემართებით არ იბრძოდა იგი, როგორც გარეშე მტრებთან და როცა ბრძოლის ხაზზე თეიმურაზის პირისპირ აღმოჩნდა, რაინდული მოთმინება იქონია, ყველას დაანახა, რომ მისი მოკვლა და ამით ვითარების შეცვლა შეეძლო, მაგრამ ქართველი მეფის წინააღმდეგ სააკაძემ მტრული იარაღი არ აღმართა, მას მხოლოდ ლაბტი გადაჰკრა მხარზე და ამის შემდეგ ბრძოლის ველს განშორდა ბრძოლის გაგრძელება საჭიროდ არ ჩათვალა. ამრიგად, დამარცხება მისმა მიზანდასახულებამ განიცადა. სააკაძე კვლავ სხვაგან, ამჭერად თურქეთში გადაიხვეწა.

ჭანსუღ ღვინჯილია დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ქართლ-კახეთის მეფეები (ლუარსაბი, თეიმურაზი) უძღურნი აღმოჩნდნენ დამძლიათ რეპრესიონერი თავადების (ბარათაშვილი, ციციშვილი და სხვათა) წინააღმდეგობა, მხარი დაეჭირათ სააკაძისათვის და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებით მიეღწიათ სამეფო-სამთავროებთან დანაწილებული საქართველოს გაერთიანებისათვის. დიდი მოურავი (რომელსაც მოკვლას უპირებდნენ) იძულებული ხდებოდა დასახმარებლად გარეშე ძალებისათვის მიემართა, მაგრამ ვერც ამან გამარტოდა.

არ არის სწორი, ვინც ეტყობს ან ფიქრობს, რომ კახეთის აყრა-აღორების დროს გორგი სააკაძე რაიმე სასარგებლოს ურჩევდა ირანის შაჰს, რომელსაც გორგის იქ ჩასვლამდე ჰქონდა გადაწყვეტილი კახეთის დამორჩილება. გორგი სააკაძე რომ ტაშისკარის შემდეგ დაეღუპათ, საქართველოში არ რჩებოდა ისეთი ნიჭიერი და შეუდრეკელი სარდალი, რომელიც მებრძოლი და გაუტეხელ ქართველებს უმეთაურებდა და შეძლებდა 1625 წელს შაჰის დამარცხებას და ქართლ-კახეთის მოსახლეობის მთლიანად ამოწყვეტის გეგმის ჩაშლას. ქვეყნის ბედზე გადაურჩა დიდი მოურავი წავისში დაღუბვას (ცნობილია, რომ თეიმურაზი და ლუარსაბი თავგანწირულად იბრძოდნენ).

თავი ტენდენციურად განწყობილი უცხოური მემატიანეები გერ უარყოფენ სააკაძის არნახულ ტალანტს, რომელიც მხოლოდ იმის ნებისმიერ გამოჩენილ მხედრობითადაც არ ჩამოუფარებოდა. იგი მცირე რაზმებითაც მუხრს ავლენდა. შეუდარებლად მტრის ჰარბ ძალებს, სასწაულებს ახდენდა, გმირი ქართველი შერ მრებით.

ერთი თავრიზელი მემატიანე წერს: „გორგი სააკაძე იყო გონიერი, მჭევრმეტყველი, მოფიქრებული ოა საქმეში ჰკვიანი, ამასთან ტანადი, ძლიერ მამაცო

საკაძემ ლისთან სამოცი კაცი თ შეიღასი სპარსი მოსპო. მოყავს ამგვარი მონაცემები სარეცენზიო ნაშრომის ავტორს.

შაჰ-ახანის დამარცხების შემდეგ „საკაძის სახელი ქუბილით მოედო მთელს აღმოსავლეთს“. მან იხსნა საქართველო. ეს არის სთავარი, რომლის წინაშე ვერმკრთალდება გადაცდომები, თუნდაც ჰქონოდა მას დროის ურთულეს პირობებში ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. ამასთან დაკავშირებით მკითხველს მოვავრებთ ილია ჭავჭავაძის შემდეგ ბრძნულ სიტყვებს:

„ყველა დროს თავისი ტკივილები აქვს... და რომ „ქემარტი მისტორი, ვითარცა გამოთხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შევლიცა“ (იხ. თხზ. ტ. 4, გვ. 86, 1855 წ.).

როგორც ვიცით, ბაზალეთის ტრაგედიის შემდეგაც უიღბლოდ წარმართა თურქეთში გადახვეწილი სააკაძის ცხოვრება. თურქეთის სულთანმა იგი მიიღო, ადგილ-მამულებიც უბოძა და ირანის წინააღმდეგ ომშიც მიადნინა მონაწილეობა. სააკაძეს იმედი ჰქონდა კვლავ დადებოდა სამშობლოში მისი დაბრუნების უამ.

საკაძემ თურქეთში სახელი იმდენად გაითქვა, რომ შეიღასა თურქეთის დიდი ვეზირისა და მთავარსარდლის ხუსრევ-ფაშას ავტორიტეტი. ხუსრევ-ფაშამ 1629 წელს სააკაძე და მისი თანხმლები პირები ვერაგულად მოაკვდევინა. სინამდვილეში არავითარი მიზეზი ამისათვის და რაიმე ბრალდება სააკაძის მიმართ არ იყო, რასაც აშკარად ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ხუსრევ-ფაშამ

ეს დღეები სოფლად

შამგონის კოლმეურნეობის მთავარი ავტორი ი. ლურჯაბაძე გვაცხობინებს:

მხენელ-მთესველები უვლიან 60 ჰექტარზე დათესილ სამარცვლე სიმინდს, რომლის მეორედ გათონჯა დასასრულს უახლოვდება. შესატანი მეორე ღობა ხასუქებისა, რაც ამ დღეებში დაიწყება. სასილოსე მასას დეფთმეთ 35, მწვანე საკვებს 5 ჰექტარი.

9 ჰექტარ ვენახის პლანტაციონში, რომელიც ზამ ბრიგადაშია გაწვავებული ავტოვადებში 4-5-ჯერ ჩატარდა შეწამვა. მევენახეები ვარაუდობენ 50 ტონამდე ნაყოფის მიღებას.

ბრიგადირი ვრიშა მარტანი თელისჩინიეთ უელის 1,2 ჰექ-

ტარზე გაშენებულ თუთის სანერგეს, 0,3 ჰექტარზე—სათესის, 14 ჰექტარ მოსავლიან თუთის პლანტაციას.

შამგონელებმა მრეწველობას მიყიდეს 750 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

მეტი მარცვლე ულისათვის

ნაყოფიერად გაისარჯნენ ნარაზენი მხენელ-მთესველები. 160 ჰექტარზე ხარისხინაიდ ჩატარდა პირველი გათონა. დაიწყო მარცვლეული კულტურების მეორედ გათონა, გასულ წლებთან შედარებით შემცირდება სიმინდის, სილიხისა და სხვა მარცვლეულის თვისდირებულება.



ინტერვიუ

საქალაქო ფასების რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მოსახლეობის ხარჯები. აღნიშნულ მძიმე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკომპენსაციო მექანიზმების თავისდროულ ამოქმედებას.

—ბატონო კოტე, რომელი კატეგორიის მომუშავეებს ეძლევათ კომპენსაცია, რამდენი და ექვემდებარება თუ არა იგი დაზღვევას?

—კომპენსაცია გაცემა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შტატში მყოფ ყველა მუშაკზე. მათ შორის იმ პირებზეც, რომლებიც მივიღებთ იმ ან სამხედრო შეკრებაზე იმყოფებიან, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მომუშავენი ღრობით არ იმყოფებიან სამუშაო ადგილზე და შენარჩუნებული აქვთ ხელფასი, მათ გარდა კომპენსაცია მიეცემა 1,5 წლამდე ასაკის ბავშვის მოვლისათვის ნაწილობრივ ანაზღაურებად შევსებულბაში მყოფ ქალებს.

—სხვადასხვა პროფესიულ-კვალიფიციური ჯგუფების მუშაკთა შორის თანაბარი საკომპენსაციო თანხების გადახდა ხომ არ გამოიწვევს მუშაკთა მატერიალური დაინტერესების დაქვეითებას და სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოები და ორგანიზაციები რა წყაროებიდან გასცემენ საკომპენსაციო თანხებს თავიანთ მომუშავეებზე?

—საქალაქო ფასების რეფორმისთან დაკავშირებით კომპენსაციის თანხა სხვადასხვა პროფესიულ-კვალიფიციური ჯგუფების მუშაკთათვის დაწესებულია ერთ-

ნაირი ოდენობით, ამასთან ეს თანხები იმდენად მცირეა, რომ მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფენ ხარალის ანაზღაურებას, აქან რა თქმა უნდა არ უნდა გამოიწვიოს მუშაკთა მატერიალური დაინტერესების დაქვეითება.

საწარმოებს, ორგანიზაციებს, გაერთიანებებს კომპენსაციის ასანაზღაურებლად მოგებიდან ბიუჯეტში გადასახადი უმცირდებათ 45 პროცენტით 35 პროცენტამდე. ასეთი წყაროს უკმარისობის შემთხვევაში კომპენსაცია იფარება ბიუჯეტში ფაქტობრივ გადასახადის შემცირების ხარჯზე. ზარალიან საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში კომპენსაციის გაცემით გადიდებული ზარალი უნდა აღნაზღაურდეს შესაბამის ბიუჯეტში ჩარიცხული ეკონომიკის სტაბილიზაციის ფონდის შემოსავლების სახსრებიდან.

—რა სახის კომპენსაციები მიეცემათ 1,5 წლამდე ასაკის ბავშვის მოვლისათვის შევსებულბაში მყოფ ქალებს საქალაქო ფასების მომატებასთან დაკავშირებით?

—სამეურნეო ანგარიშთან და ბიუჯეტურ საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში 1,5 წლამდე ასაკის ბავშვის მოვლისათვის ნაწილობრივ ანაზღაურებულ შევსებულბაში მყოფ დედებს, რომლებსაც აქვთ ერთი წლის მუშაობის სტაჟი (18 წლამდე ასაკის დედებს სტაჟის მიუხედავად) და დედებს, რომლებიც სწავლობენ წარმოებისგან მოწყვეტით ეძლევათ 1991 წლის აპრილიდან ყოველთვიურად დახმარება ბავშვის მოვლისათვის 115 მანეთი. ამასთან ერთად, დედებს, ისევე, როგორც სხვა კატეგორიის მომუშავეებს, მიეცემათ საკუთარი კომპენსაცია 60 მანეთი.

—მიეცემათ თუ არა ხელფასზე კომპენსაციები ქალებს, რომლებიც შევსებულბაში არიან 1,5-დან 6 წლამდე ბავშვის მოვლის მიზნით?

—ეს საკითხი უშუალოდ საწარმოებში, მათი საკუთარი სახსრების შესაბამისად წყდება.

—როგორი კომპენსაციები მიეცემათ მოსწავლეებს?

—დაწესებულია ყოველთვიური

არამომუშავე, ქმართან გაცილებულ ქალებზე, რომლებიც ქორწინებაში არ არიან, ან ახალ ქორწინებაში არიან და ამავე დროს ბავშვი არ არის ნაშვილვეო დედის მეუღლის მიერ. კომპენსაციებს გასცემენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები დედა-შვილის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

70 მანეთის ფარგლებში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ პენსიაზე დანიშნული ქმრანათ დანაშატი კმაყოფიერ მყოფ პირათათვის.

პენსიის დანაშატზე კომპენსაციის დანიშნის გამო ოჯახის არაპრობლემურაა 16 წლამდე (მოსწავლეები 18 წლამდე) წევრებზე კომპენსაციის გადახდა სხვა საფუძვლების მიხედვით (დახმარებებზე, სტიპენდიაზე და სხვა) არ სწარმოებს გარდა სხვადასხვა ასორტიმენტის საქონლის გაძვირებასთან დაკავშირებული კვარტალური კომპენსაციებისა—რომლებიც პენსიონერები კომპენსაციის მიიღებენ სამუშაო ადგილზე, ასევე როგორც სხვა კატეგორიის მომუშავენი 60 მანეთის ფარგლებში.

—მიეცემათ თუ არა კომპენსაცია უმუშევრებს?

—ამჟამად საქართველოს რესპუბლიკაში კომპენსაციის გაცემა გათვალისწინებულია მხოლოდ იმათზე, რომლებიც გამოთავისუფლებულნი არიან სამუშაოდან 1991 წლის პირველი იანვრიდან შტატების შემცირების გამო. მხოლოდარგობს ამ კატეგორიის პირთა აღრიცხვა შრომითი მოწყობის ცენტრებსა და ბიუროებსში.

როდესაც რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიიღებს კანონს მოსახლეობის დასაქმების შესახებ და დაწესდება უმუშევრის სტატუსი, შეიქმნება დასაქმების რესპუბლიკური ფონდი, რაც საშუალებას მოგვცემს დახმარება და შესაბამისი კომპენსაცია მიეცეთ უმუშევართა უფრო ფართო კატეგორიას.

—პრაქტიკულად რა გავლენა საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის ცენტრის მიერ განხორციელებული ფასების რეფორმის პირობებში?

—ცენტრის მიერ განხორციელებული ფასების რეფორმის პირობებში სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის. კერძოდ, რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით ჩვენგან არ მომზადდა პურის ფასის გადიდება, თუმცა არც ისე იოლი საქმეა იმით მიღებული კოლოსალური ზარალის დასაფარავად რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების გამოწვევა. ასევე გაუმჯობესებულია საქართველოს ტერიტორიაზე გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონლებზე 5 პროცენტის დანაშატი.

ესაუბრა თბაშკა რედაქტორი.

ფასები და კომპენსაცია

კომპენსაციები 40 მანეთის ოდენობით, ბავშვებზე, რომლებიც არ ღებულობენ დახმარებას და პენსიებს სოციალური უზრუნველყოფის არსებული წესის მიხედვით. კომპენსაციები მიეცემათ 6-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვებს, აგრეთვე 18 წლამდე ასაკის მოსწავლეებს, რომლებიც არ ღებულობენ სტიპენდიებს.

—რა წყაროებიდან და სად გაცემა სხვადასხვა სახის კომპენსაციები ბავშვებისათვის?

—ყოველთვიური კომპენსაციები 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე, აგრეთვე ყოველკვარტალური კომპენსაციები საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძვირებასთან დაკავშირებით გაცემა საწარმოებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ერთდროული დახმარება ბავშვის გაჩენაზე, აგრეთვე 1,5 წლამდე, 1,5-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებზე დახმარებები გაცემა საწარმოებში, სოციალურ ფონდის ანგარიშების ხარჯზე.

დახმარებები და კომპენსაციები 1,5 წლამდე, 1,5-დან 6 წლამდე, 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე, აგრეთვე ერთდროული დახმარებები ბავშვის გაჩენაზე და საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძვირებასთან დაკავშირებით ყოველწლიური (კვარტალური) გაცემით, გაცემა ძირითადად სამუშაო ადგილის მიხედვით, როცა დედა არ მუშაობს მაშინ მაშინ სამუშაო ადგილიდან (ან მშობლების შემცველი პირის ძირითადი სამუშაო ადგილიდან).

—სად გაცემა კომპენსაციები არამომუშავე, ქმართან გაცილებული ქალების ბავშვებისთვის?

—კომპენსაციები 16 წლამდე ასაკის (18 წლამდე მოსწავლეთათვის, რომლებიც არ ღებულობენ სტიპენდიებს) ბავშვებზე, 1,5 წლამდე ასაკის და 1,5 წლიდან 6 წლამდე ბავშვებზე, აგრეთვე ყოველკვარტალური კომპენსაციები საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძვირებასთან დაკავშირებით გაცემა

—თუ ქალი, რომელიც ნაწილობრივ ანაზღაურებად შევსებულბაშია 1,5 წლამდე ასაკის ბავშვის მოსაველლად, ამ დედის გასვლამდე გავიდა სამუშაოზე, მიეცემა თუ არა მას დახმარება და კომპენსაცია ბავშვზე?

—ნაწილობრივ ანაზღაურებადი მუშაობის დაწყების შემთხვევაში, დედას 1,5 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მიეცემა ყოველთვიური კომპენსაცია 40 მანეთის ოდენობით, აგრეთვე ყოველკვარტალური კომპენსაცია საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძვირებასთან დაკავშირებით 50 მანეთით.

—გაცივმა თუ არა ყოველკვარტალური კომპენსაციები საბავშვო ასორტიმენტის გაძვირებასთან დაკავშირებით, ბავშვებზე სხვა სახის დახმარებებსა და კომპენსაციებთან ერთად?

—ყოველკვარტალური კომპენსაციები ბავშვებზე საბავშვო ასორტიმენტის გაძვირებასთან დაკავშირებით გაცემა ნებისმიერ შემთხვევაში, ე. ი. მაშინაც, როდესაც ბავშვი ღებულობს სხვადასხვა სახის დახმარებას და პენსიას.

—რა სახით მიეცემათ კომპენსაციები პენსიონერებს, მათ კმაყოფიერ მყოფ პირთ?

—არამომუშავე პენიონერებისათვის კომპენსაციის გაცემას ხელმძღვანელობენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები. კავშირგაბმულობის განყოფილებებისა და შენახველი ბანკის დაწესებულებების მეშვეობით პენსიონერთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. პენსიონერებზე დანიშნული საკომპენსაცია თანხა შეადგენს 70 მანეთს.

მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიაზე კომპენსაცია მიეცემა ამ სახის ყველა კატეგორიის პენსიონერებს 70 მანეთის ოდენობით, კმაყოფიერ მყოფ ყველა პირთათვის არამომუშავე პენსიონერები მიიღებენ კომპენსაციას

კანონი მოქალაქეთა საუბოსავლო გადასახადის შესახებ

1990 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა საუბოსავლო გადასახადის შესახებ“. ამ კანონის მიტრვე მუხლის მიხედვით მოქალაქის 100 მანეთის შემოსავალი არ იბეგრებოდა და ამით მთავრობა თავს იწინებდა, რომ თითქმის დიდი დახმარება აღმ-

ოტინოთ ხალხისათვის. 150 მანეთი იბეგრებოდა 14 მანეთი და 70 კაპიკით, 151 მანეთიდან 700 მანეთამდე უკავდებოდათ 14 მანეთი და 70 კაპიკს პლიუს იმ თანხის 18 პროცენტი, რომელიც აღემატებოდა 150 მანეთს.

ამჟამად ეს კანონი შეიცვალა 1991 წლის 11 ივნისს მიღებული კანონით და მოქალაქეთა ხელფასი 160 მანეთის ჩათვლით არ იბეგრება ამ კანონის მე-

მუხლის მიხედვით 161 მანეთიდან 1000 მანეთამდე მოქალაქეებს დაუკავდებოთ არა 18 პროცენტი, არამედ 12 პროცენტი, იმ თანხიდან, რომელიც აღემატება 180 მანეთს, 1001 მანეთიდან ორი ათას მანეთამდე 100 მანეთს და 80 კაპიკს პლიუს 15 პროცენტი იმ თანხისა, რომელიც აღემატება ათას მანეთს, ხაში ათას მანეთზე ზევით დაკავდება ნაცვლად ადრე არსებული

კანონისა 80 პროცენტიდან შემცირებულ იქნა 80 პროცენტამდე. ეს კანონი გამოქვეყნებულია გაზეთ „ივესტიაში“ №148-ში. 1991 წლის 25 ივნისს ერთი დღით ადრე მიღებულ იქნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგინდება აღნიშნული კანონის ხაზოქმედოდ შემოღების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ივესტიაში“ 1991 წლის 24 ივნისს, რომლის მიხედვით დაკავების გაანგარიშება უნდა მოხდეს 1991 წლის 1 აპრილიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით (დასასრული მე-4 გვერდზე).

წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ბუღალტრები ხშირად მოდიან სახელმწიფო სხვადასხვა ინსპექციებში და კითხულობენ მოქალაქეთა საუბოსავლო გადასახადის დაკავებზე რომელი კანონით იხელმძღვანელონ და რა დროიდან შეუფარდონ კანონი მოქალაქეთა შემოსავლებს.



დასასრული

დვით, ზოგიერთ სახეში კი გა-
დახდებიან ხდება პირველ მათ-
სიდან, საჭიროა ბუღალტრები
გაეცნონ ამ კანონებს.
კანონით მკაცრი სანქცია და-
წესებული გადახდებზე მი-
მართ შემოსავლებზე დეკლარა-
ციის უსწოროდ დროულად
წარმოდგენლობისათვის, შემო-
სავლის გადახდისა და შემცო-
რებისათვის გადახდებით გადა-
ხადებული თანხა მთლიანად ქა-
რისი იმავდ რაოდენობით.

დარღვევების შემთხვევაში
გათვალისწინებული წარმოება-
დაწესებულებაზე ხელმძღვანელე-

ბის და სხვა თანამდებობის
პირთა ადმინისტრაციული პასუ-
ხისმგებლობა დაქარაზებული 200
მანეთამდე.
სულ მალე საქართველოს რე-
სპუბლიკის ექნება თავისი საგა-
დასახადო სისტემა, ბიუჯეტის
შემოსავლები ჩამოყალიბდება ფი-
ზიკური და იურიდიული პირე-
ბისათვის დაწესებული გადა-
სახადების, მოსაკრებლებისა და
სხვადასხვა სახის გადასახადებისა-
გან.

ამჟამად გამოქვეყნდა საგა-
დასახადო სისტემის ზოგადი
საფუძვლების შესახებ კანონის
პროექტი საყოველთაო სახალხო
განხილვისათვის, რომელიც უახ-

ლოეს პერიოდში განხილვის შე-
დეგ მიღებულ იქნება სრულ-
ყოფილი კანონის სახით.

საქართველოს რესპუბლიკის
კონსტიტუციის მე-10 მუხლში
შეტანილ იქნა ცვლილება და ის
ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:
„მუხლი 10. საქართველოს რეს-
პუბლიკას, როგორც სუვერენულ
სახელმწიფოს, აქვს საკუთარი
ფინანსური სისტემა და ეკო-
ნომიკური პოლიტიკის ახორციე-
ლებს დამოუკიდებლად“.

შ. სარბი,
ზუგდიდის ზონის სახელმწიფო
სავალდებულო ინსპექციის ინ-
სპექტორ-იურისკონსულტი.

ზუგდიდის №108 საშუ-
ალლო პროფესიულ-ტექ-
ნიკური სასწავლებელი
ა ტ ე მ ბ ს

1901-02 სასწავლო წლისათვის
მოსწავლეთა მიღებას არასრული
საშუალო სკოლა-დამთავრებ-
ულთათვის სამწლიანი სწავლენ-
ის ვადით შემდეგ პროფესი-
ებში:

- 1. სასოფლო-სამეურნეო
მანქანებისა და მოწყობილო-
გების შემამუშავებელი ზედინა-
ლი; ავტომანქანების შემ-
ამუშავებელი ზედინალი.
- 2. ფართო პროფილის ტრა-
ქტორისტ-მემანქანე, (რომელე-
ბსაც შეუძლიათ შეასრულონ
შეინჯალ-შემკეთებლისა და ავტო-
მანქანის მძღოლის სამუშაოები)
- 3. ძირითად-ბამბარკილო
გიური ანალიზის ლაბორან-
ტი.
- 4. ავტომანქანების შემამ-
თავებელი ზედინალი; ავტომან-

ქაბანის მძღოლი.

საშუალო სკოლა დამთავრებ-
ულთათვის კი ერთწლიანი სწა-
ვლების ვადით შემდეგ პროფე-
სიებში.

- 1. გონივრული და ხელ-
კანკარაზანი ნავთობის შენახ-
ვისა და გადასაზღვრების რეა-
ბრატორი, წყანების წარმოების
რეაბრატორი
- 2. ელექტრომანქანების მძღოლი
(ავტომანქანის მართვის უფლებ-
ებით).
- 3. არასასწრაფო სპორტ-
ლის მამუშავებელი.
- 4. ჩინის ფაბრიკების მანქა-
ნა-დამამუშავების შემამუშავებ-
ელი ზედინალი.

სასწავლებელში სწავლის პე-
რიოდი ჩაითვლება საერთო და უწ-
ყვობ სტაჟად.

- ყველა კურს-
დამთავრებული სასწავლებელში
მინიჭებული კვალიფიკაციის
მიხედვით სამუშაოდ განაწილდ-
ება რაიონის სასოფლო-სამეურ-
ნეო-მეურნეობებში. მსურველებმა უნ-
და წარმოადგინონ შემდეგი სა-
ბუთები: 1. განცხადება დირექტო-
რის სახელზე, 2. განათლების
მოწმობა (დედანი), 3. დაბა-
დების მოწმობა, (დედანი), 4. ავ-
ტობიოგრაფია, 5. ცნობა ქანძრ-
თელორის შესახებ (ფორმა №8
ან იგი უ), 6. 6 ცალი ფო-
ტოსურათი (ზომით 3X4), 7. ცნო-
ბა საცხოვრებელი ადგილიდან.
განცხადებები მიიღება 25 აგ-
ვისტომდე ყოველდღე, გარდა
კვირისა.

ჩვენი მისამართია: ზუგდი-
დის რაიონი, სოფ. ნარაზენი.
სასწავლებლის დირექტორი.

ყოფილი პაციენტი შურა პაპაძის გამოჩენილი გულის-
მიერებისა და მზრუნველობისათვის მადლობას უხდის ექიმ-
ტრავმატოლოგს მამუკა მამაძარს და უსურვებს წარმა-
ტებებს შემდგომ საქმიანობაში.

ზუგდიდის ეროვნული, პროფესიულ-ტექნიკური სკო-
ლის დირექტორი აწუბოს ადინიშული სკოლის მოსწავლეთა
და ამ სკოლაში სწავლის სურვილის მქონე მე-9-მე-10-მე-11
კლასის მოსწავლეთა მშობლებთან შეხვედრას სკოლის სამომავ-
ლო პრობლემებთან დაკავშირებით. მშობელთა დასწრება სა-
ვალდებულოა.

შეხვედრაზე ვიწვევთ ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაი-
ონის განათლების განყოფილების გამგეს ქალბატონ ლ. კვირ-
კელიას, ქ. ზუგდიდის გამგებელს ბატონ ზ. კიტაის და ამ სკო-
ლის მომავლით დაინტერესებულ პირებს.
შეხვედრა მოეწყობა მიმდინარე წლის 24 ივლისს 14 სა-
ათზე ადინიშული სკოლის შენობის სააქტო დარბაზში.

სამშენებლო-სამონტაჟო სპეციალიზებულ მრავალდარგოვან
მცირე საწარმო „ექტორს“ სარეალიზაციოდ გააჩნია იაპონური
მსუბუქი ავტომანქანა „სუჟუკი“, მსუბუქი ავტომანქანებისა-
თვის გაზის გასაშროთვი მოწყობილობა (გაზოაპარატურა)
აგრეთვე საბურღი აგრეგატი „სბუ-100 გ“-2 ცალი, საბურღი
აგრეგატი „ურბ“, რომელიც დამონტაჟებულია ზილ 180-მარ-
კის ავტომანქანაზე. ასევე „ექტორს“ სარეალიზაციოდ გააჩნია
ზის დამამუშავებელი მინიდანადგარი, რომელიც ასრულებს ოც
ოპერაციას, საღებავისდამამზადებელი აგრეგატი და სხვადასხვა
სამშენებლო-სამონტაჟო დანადგარები.

ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს როგორც ნაღდ ანგა-
რისზე, ასევე გადარიცხვით. მსურველებს გთხოვთ მოგვმართოთ
მისამართზე: ქ. ზუგდიდი, ნიკოლაძის ქ. 47, ტელ: 2-82-78 ან
2-50-80.

მისამართი: სსსპ-ს დირექტორი.

ვენი ორსართულიან კეთილ-
მოწყობილ სახლს ეზოთი თაბუ-
კაშვილის (ყოფილი მარქისი)
ქუჩაზე №85. დაწვრილებითი
ცნობებისათვის მოგვმართეთ ალ-
ნიშნულ მისამართზე.

შემნახველი ბანკის ზუგდიდის
განყოფილების თანამშრომლები
თანაუგრძნობენ ნანა და დარეკა-
ნი ლუკაშვილებს დედის
ეთერ ჭკალუა-ლუკაშვილს
გარდაცვალების გამო.

ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი
„ოლიში“, „დინამო“-ს საქალაქო
საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყ-
ებიათ ეტერის ფეხბურთელის
ბორის თადეოშის ძე შურდიას
გარდაცვალებას და თანაუგრძნო-
ბენ განსვენებულის ოჯახს.

გაუა, ნოდარი, მტრანი, თამაზი,
მიმონა ჩახაიები ოჯახებით იუწყ-
ებიათ ბიძაშვილის
კაკო (გიდო) ლეონტის ძე
ჭალაკაშვილს
გარდაცვალებას.

ცაიშის ჩაის ფაბრიკის კოლ-
ქტივი იუწყება
გივი (ბორიკო) იასონის ძე
წიწავას
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს
განსვენებულის ოჯახს.

როგორც ღრუ პარხაზ მუ-
ვიანთ ვიწვევთ, საქარ-
ველოს რესპუბლიკის ტერიტო-
რიაზე მარდინარეობს ავტო-
მობილური ტექნიკური
დათვალისწინება, რომელიც დაიწ-
ყო ამა წლის 1 იანვარს და
მთავრდება 31 აგვისტს.

მიუხედავად ჩვენს მიერ არა-
ერთგვარად გაფრთხილება-შესვენ-
ებისა, ზოგიერთი საწარმო-დაწეს-
ებულებაზე ხელმძღვანელობას
დღემდე არ წარმოუდგენია სა-
ხელმწიფო ავტომანქანები ტექნი-
კური დათვალისწინებაზე, არც
თანხა აქვთ გადარიცხვითი ბი-
უჯეტში. მათ შორის არიან:
ქალაქის მოსახლეობის საყოფაც-
ხოვრებო მომსახურების სამსა-
რთველო, ქალაქის პროფსპო-
რტი, საბითუმო მალაზია, №1
ჩაის ფაბრიკა, სანერგე მეურნე-
ობა, №188 ნობად-მეცნიერე-
ბული კოლონა, თავდაცვის ინ-
სპექცია, ტურბაზა, №82 პროფ-
ტექსასწავლებელი, ინფორმაციის
სარეკლამო ცენტრი, №10, 5,
8 საშუალო სკოლები, ჩაის
გადამწონი ფაბრიკა, №10 სა-
საღებო, ნავთობაზა, სამედი-

ცინო ტექნიკის მალაზია, მუხრან-
ლურა და ქარაგორაული საწა-
რადობის გაერთიანება, კვა-
ლუშიას სარეალიზაციო, განმსუ-
რისა და დინიშის სასოფლო-
ებრივი მეურნეობები, №50 მო-
რავ-მეცნიერეობის კოლონა, ცხო-
ველთა ზელოვნური დათვალის
სადგური, კინოფიკაცია, სასოფ-
ლო საბჭოები, კულტურისა და
ჩაის ფაბრიკები და მრავალი
სხვა. სანწებარა, მაგრამ ფაქ-
ტია ისიც, რომ კომპრობირე-
ბას თავმჯდომარეები საერთოდ
თავს არიდებენ ამ საერთო საქ-
მეს, თითქმის ტექნიკურ დათვა-
ლისწინებაზე მათზე რიგგარეშე ავ-
ტომანქანებს არც ეხებოდნენ. სა-
ნამდე გაგრძელება ასეთი უპ-
ასუსტებლობა?

ბ. ჯიშია,
სახელმწიფო ინსპექციის ქვედანა-
ყოფის საგზაო-საპატრულო-
სამსახურის უფროსი ინსპექტო-
რი, მილიციის კაპიტანი.

რედაქტორი
ბა. ზანტორია

ექსტრასენსები-თქვენს სამსახურში

თბილისიდან ქ. ზუგდიდში
ჩამოსული არიან ცნობილი ექს-
ტრასენსები: დოქტორი დოქტორი
სირაძეები, რომლებიც
უმოკლეს ვადაში ხელების ბიო-
ელექტრომაგნიტური სხივებით
მუხტავენ წყალს, რომელიც სა-
სარგებლო დასაღებად.
მეურნეობებში ისეთ დაავადებ-
ებს, როგორც: პოლითრო-
ტი, მიგრატორია, ბუხილი, მ-
რილი, ჩიყვი, ოსტეოქონდრო-
ზი, მენისკის დაავადებები, საწ-
ვერა ნერვის ანთება, ნაღვე-
ლა, ღვიძლი, კუჭის წყლული,
მხედველობის და სხვების დაქვე-

თება, პროსტატიტი, ბრონქო-
ლური ასთმა, მოზარდთა შო-
რის შარდის ფუნქციის მოშ-
ლილობა (ენურეზი), თირკმელი,
თავის ქალის წინევა.
ექსტრასენსები გამოვლილი
აქვთ საქვეყნოდ ცნობილი ჯუნა
დავითაშვილის სკოლა.
მისამართი: ზუგდიდი, წმინ-
და ნინოს ქ. №24 (ყოფილი
პლენარის) ტელ: 2-87-49.
(ქანთარაის ბინა). მიღების საათე-
ბი: 10-დან-18 საათამდე.
ექსტრასენსები ჩვენს ქალაქში
დარჩებიან 20 დღე.

ღელა ანტა, შვილები დოდო,
ნანა, დარეკანი ლუკაშვილები,
გებრეტი, გოგი, გოდერძი, ღებო:
მარო, ანტა, ნუნუ, ძმისშვილი
მერი ჭკალუა, სიმეები დათო
ლარია, თორნიკე ლავილაშვილი,
თემურ გუჭეჩიანი, გოგი ლაშვილი,
შვილიშვილები: თეა, თემურ ლა-
ტარაი, ელისო ჯუჭეჩიანი,
იკა ლავილაშვილი, მკა ლაშვილი, ბი-
ძაშვილები, დიდაშვილები, მა-
მილაშვილები და ახლო ნათესა-
ვები იუწყებიან
ეთერ გაიოშის ასულ
ჭკალუა-ლუკაშვილს
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20,
21, 22 ივლისს, დარბაზი 23
ივლისს, ქ. ზუგდიდი ყუფუნის
ქ. 66.

მეუღლე ლუარა, შვილები: ძუ-
ტა, მიმონა, მირანე, დები: ლი-
ლია, ნათელა, მამა კოლია, შვი-
ლიშვილები ინგა, ირმა, იუწყე-
ბიან
ირადი კაკა, ძე ზანთარაის
გარდაცვალებას. დარბაზი 20
ივლისს სოფელ შამგონში.

მეუღლე ირადი, შვილები: ფაცა,
ქეთო, ართი, თამაზი, სოსო,
მეები: გულა, უნარი, მაზო
ქალაქი, სიმეები ქვიპა ჭითან-
აია, თორნიკე თორნიკია, რძე-
ბი: ფენია ლავილაშვილი, ჟანა მო-
სია, მანანა შენგელია, რუსიკო
ბორია, შვილიშვილები გოდერძი,
ლორთქი, მამუკა, ევა, ემა, ბე-
ნუკი, თამარი, რამაზი, ლექსო,
ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამი-
ლაშვილები, ახლო ნათესავეები
იუწყებიან
ეუთო ტერენტის ასულ
სალია-აკობიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 21,
22 ივლისს. დარბაზი 23 ივ-
ლისს სოფ. კახათში.

მეუღლე შოკოლა, შვილები: ვალ-
ერი, რევაზი, ოთარი, ძმები: გვა-
ლია, ბორი, რძეები: ლალი, სვე-
ტა, ფატიმა, დინარი, გული, გი-
ნერა, ცილა, ნათელა, ცოლისძე-
გები: შოთა, ვალერი ხაზალიანი,
შვილიშვილები: გიმა, ინგა, ირინა,
ელგუჯა, ჯონი, ირმა, ლადო ჯორ-
ჯაშვილი, ძმისშვილები: კლარა, ნო-
ნა, შვილი, ევა, რამაზი, ბეგია,
ცოლისძმისშვილები: მერაბი, იმ-
ზარი, პაატა, ხეჩი, ლია, ხათუნა,
ლოლა, ახლო ნათესავეები იუწყე-
ბიან
ვანია ბიჭორის ძე ჭალაკაშვილს
გარდაცვალებას. პანაშვიდი 20,
21, 22 ივლისს, დარბაზი 23 ივ-
ლისს ს. დიდინეში.

ზუგდიდის სარეალიზაციო-
ტექნიკური სკოლის თანამშრომლები
იუწყებიან
გალია ანატოლის ასულ
დემიანოვას
გარდაცვალებას.

კახათის №1 საშუალო სკოლის
პედაგოგიური კოლექტივი თანაუ-
გრძნობს ნიკო ნადარაძის ძმის
ნათო ბიჭორის ძე ნადარაძის
გარდაცვალებას გამა.

ი ნ დ ე მ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 58. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მხადგილის
2-88-09, პასუხისმგებელი მაცნის 2-81-96, სოფლისმეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-06

საქართველოს რესპუბლიკის ბუკდვითი სისტემის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა: მერაბ კოსტავას ქ. 256, 2-22 07, ტირაჟი 5000 შპა. № 2